

*სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის
მე-3 საჯარო სკოლა*

*„მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემა
და მისი გადაჭრის გზების ძიება“*

*ნინო ქენჯაძის
პედაგოგიური კვლევის ანგარიში*

2018-2019 წწ.

სარჩევი

შესავალი

თავი I საკვლევი მასალის მიმოხილვა

- 1.1. კვლევის მთავარი მიზანი.
- 1.2. მოკლე ინფორმაცია მე-3⁵ კლასის მოსწავლეთა შესახებ.
- 1.3. პრობლემა და საკვლევი საკითხი
- 1.4. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები
- 1.5. კვლევის ამოცანები

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი III

კვლევის დიზაინი

- 3.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი
- 3.2. კვლევის მეთოდები
- 3.3. კვლევის ვადები

თავი IV

- 4.1. მონაცემთა ანალიზი
- 4.2. კვლევის მოსალოდნელი შედეგები
- 4.3. კვლევის მიგნებები
- 4.5. შესაძლო ინტერვენციები
- 4.5. განხორციელებული ცვლილებები
- 4.6. რეკომენდაციები და ინტერვენციების შეფასება
- 4.7. დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

რეფლექსია

დანართები

შესავალი

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მესამე კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიში.

ნაშრომში განხილულია წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად განხორციელებული ცვლილებები.

თავი I.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. კვლევის მთავარი მიზანი

კვლევის მიზანია წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემის მიზეზების აღმოჩენა-დადგენა. იმ შემთხვევებში მიზეზების იდენტიფიკაცია, რომლებიც უშლის ხელს მოსწავლეს, რომ სწორად გაიგოს დავალების პირობა, ადეკვატურად გაიაზროს ტექსტი და გამოიტანოს წაკითხულიდან სწორი დასკვნები.

გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება:

პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

მიღწეული შედეგების შეფასება

1.2. მოკლე ინფორმაცია მე-3⁵ კლასის მოსწავლეთა შესახებ

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მე-3⁵ კლასში სწავლობს 24 მოსწავლე. მათ შორის 9 გოგონა და 15 ვაჟი.

მე მათ ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას და ვარ კლასის ხელმძღვანელი.

კლასი შედგება სხვადასხვა შესაძლებლობებისა და მოსწრების მქონე მოსწავლეებისაგან. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საგაკვეთილო

პროცესებში.თუმცა კლასის მცირე ნაწილი ნაკლებად ერთვება ამ პროცესში.ისინი იშვიათად აქტიურობენ გაკვეთილზე,უჭირთ დავალების ინსტრუქციის გააზრება,საკუთარი აზრის გამოხატვა,დისკუსიაში ჩართვა და ა.შ.

კლასში არის ორი სსსმ მოსწავლე. მათთან სამუშაოდ შემუშავებული გვაქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კვლევის დაგეგმვის დროს შევხვდი და ვესაუბრე სკოლის ფსიქოლოგსა და სპეც.მასწავლებელს იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამ მოსწავლეების მონაწილეობა კვლევის დროს განხორციელებულ ღონისძიებებში. ფსიქოლოგისა და სპეც.მასწავლებლის რჩევითა და პირადი დაკვირვებისა და ანალიზის შემდეგ,კვლევაში ჩავრთე სსსმ მოსწავლეებიც,რადგან მათი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მხატვრული ტექსტის წაკითხვა-გააზრებას,ტექსტთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემას და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

1.3. პრობლემა და საკვლევი საკითხი

კვლევის დაწყების მიზეზი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით იყო ის,რომ მხატვრული ტექსტების დამუშავებისას შეინიშნებოდა,როგორ უჭირდათ მოსწავლეებს ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრება,შინაარსის გაგება და არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა.ზაფხულის არდადეგების შემდეგ,როდესაც ბავშვები სკოლაში დაბრუნდნენ,ვთხოვე მოეყოლათ წიგნების შესახებ,რომლებიც მათ ზაფხულის განმავლობაში წაიკითხეს.სამწუხაროდ, აღმოჩნდა,რომ ნაწილს არაფერი წაუკითხავს,ხოლო მათ ვინც კითხულობდა,უმეტესად არ ახსოვდა ტექსტის შინაარსი ,ძალიან უჭირდა შინაარსის გადმოცემა და არ ჰქონდა სწორად გააზრებული იგი.დაკვირვების შედეგად და სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგების გაანალიზებისას აღმოვაჩინე,რომ მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს ჰქონდა პრობლემა ტექსტის გაგებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა,რომ მუდმივად ვმუშაობდი ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებაზე,ხშირად ვგეგმავდი გაგება -გააზრებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა აქტივობას,მოსწავლეთა ნაწილისათვის მაინც პრობლემად რჩებოდა ტექსტის გააზრება. ჩავთვალე,რომ საჭირო იყო თანამიმდევრულად მივეყოლოდი ამ პრობლემას, შემესწავლა მისი გამომწვევი მიზეზები,რის შემდგომაც გადავწყვიტე,განმეხორციელებინა კვლევა,რომელშიც ჩავრთე მოსწავლეები,მშობლები და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე,აზრთა ურთიერთგაზიარების მიზნით,ინტერვიუ ჩავწერე დაწყებითი საფეხურის რამდენიმე მასწავლებელთან.ინტერვიუს მიზანი იყო პრობლემის გამოკვეთა და მისი გადაჭრის გზების ძიება. კოლეგებთან შეხვედრა ძალიან საინტერესო და ბევრის მომცემი აღმოჩნდა ჩემთვის. შევჯერდით,რა შეიძლება იყოს პრობლემის გამომწვევი

მიზეზი,რა გზებით შეიძლება აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლა,რა არის გასაუმჯობესებელი და რა კუთხით გვმართებს მეტი მუშაობა.

დაწყებით საფეხურზე დიდი ყურადღება ეთმობა კითხვის უნარის განვითარებას.კითხვა მოიაზრებს არა მხოლოდ ამოკითხვას,არამედ აზრის გაგებას,მსჯელობას,დასკვნების გამოტანასა და შეფასებას.

წაკითხულის გაგება-გააზრება კითხვის ძირითადი მიზანია. წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო,ზოგჯერ ,სამწუხაროდ, ტექსტი შეიძლება მხოლოდ წაკითხული დარჩეს და მოსწავლემ იგი ვერ გაიგოს ,გაუჭირდეს მისი გაანალიზება . ეს პრობლემა მარტო ტექსტის გაგებას არ უკავშირდება,იგი თავს იჩენს სხვა საგნებთან დაკავშირებითაც.მაგალითად ბუნებისმეტყველებაში,მათემატიკასა და ნებისმიერ საგანში მოსწავლეს შეიძლება გაუჭირდეს სწორად გაიგოს და გაიაზროს სხვადასხვა დავალების ინსტრუქცია,ვერ გაიაზროს წაკითხული. ამის შედეგია ის შეცდომები და მცდარი,ნაჩქარევად გამოტანილი დასკვნები,რაც ხშირია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში.

1.4. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენაში დამეხმარა თანამშრომლობა კოლეგა-მასწავლებლებთან,მშობლებთან,მოსწავლეებზე დაკვირვება .ასევე გავეცანი ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ ლიტერატურას.

გამოვყოფ ტექსტის გააზრების შემაფერხებელ რამდენიმე მთავარ მიზეზს:

. **კითხვის ტექნიკის ფლობა**- მოსწავლეებს არ აქვთ განვითარებული გაწაფული კითხვის უნარი,დიდ დროსა და ძალისხმევას ხარჯავენ სიტყვის ამოკითხვასა და დეკოდირებაზე,ამიტომ ვეღარ ახერხებენ ტექსტის სწორად გააზრებას.

.**ლექსიკური მარაგის სიმწირე**-აფერხებს ტექსტის გაგება-გააზრებას,რადგან თუ სიტყვების დიდი ნაწილი გაუგებარი დარჩა მოსწავლისათვის,რასაკვირველია ,ტექსტს იგი სრულად ვერ გაიაზრებს.

.**გამართული კითხვის დეფიციტი**-აფერხებს ტექსტის გაგება-გააზრებას,რადგან ასეთ დროს მოსწავლეების მთელი ძალისხმევა იხარჯება სიტყვების ამოკითხვაზე,დეკოდირებაზე და არა ტექსტის გააზრებაზე.

.**ზედმეტად რთული და არასაინტერესო ტექსტები**- მოსწავლეებში ტექსტის სირთულე და მათთვის უინტერესო მასალა დაბლა სწევს მოტივაციას. მოსწავლეები მეტი ინტერესითა და ხალისით მუშაობენ ტექსტზე , თუ ის არ არის რთული და შეეფერება მათ ასაკობრივ თავისებურებებს,თუ ტექსტებში მათთვის საინტერესო და მახლობელი თემებია ,მოსწავლეთა მოტივაცია ბევრად მაღალია.

.**ოჯახისა და მახლობელი გარემოს გავლენა**-თუ მოსწავლე ბავშვობიდან ისეთ გარემოცვაშია,სადაც კითხულობენ წიგნებს,ეს იწვევს ბავშვში წიგნის სიყვარულს,კითხვით დაინტერესების სურვილს. თუ ბავშვობიდან აქვს ურიერთობა

წიგნებთან, მას ეს უმეტეს შემთხვევაში ცხოვრების ბოლომდე მიჰყვება. თუ ბავშვობიდან უფროსები უკითხავენ და აზიარებენ წიგნის სამყაროს, ბავშვისთვის კითხვაც სასიამოვნო პროცესი ხდება და იგი უკვე დაინტერესებულიც იქნება წაკითხული ტექსტის გაგება- გააზრებით. ხოლო თუ ბავშვი საერთოდ მოწყვეტილია წიგნიერ გარემოს, მისთვის ხშირად უინტერესო და არასასიამოვნო ხდება წიგნთან ურთიერთობა სკოლაში.

1.5. კვლევის ამოცანები

დაკვირვება თითოეულ მოსწავლეზე, მათი ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა.

პრობლემის შესწავლის მიზნით, მოსწავლთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა

შედეგების მონიტორინგი

მონაცემთა ანალიზი

შედეგების ანალიზი

შედეგების პრეზენტაცია და გამოცდილების გაზიარება

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

„კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს“- ვკითხულობთ ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

„21-ე საუკუნის ინფორმაციულ საზოგადოებაში წიგნიერება ადამიანის ერთ-ერთ საკვანძო და საბაზისო კომპეტენციას წარმოადგენს... როგორც ვხედავთ, წიგნიერება, როგორც კომპეტენცია, ადამიანის ცხოვრებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. უწიგნურობის დაძლევა კაცობრიობის ერთერთ ყველაზე დიდ გამოწვევადაა გამოცხადებული და ათასწლეულის განვითარების მიზნებს შორის საგანგებო ადგილი უკავია. სწორედ წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, ტარდება წიგნიერების შეფასების მასშტაბური საერთაშორისო კვლევები, რომლებიც გვიჩვენებენ რეალურ მდგომარეობას და გვჩვენებია პრობლემის დაძლევის გზების ძიებაში“ (ნ. ბესელია, პ. პაპავა „წიგნიერება დაწყებით კლასებში“ 2011 წ.).

როგორც პ. პაპავასა და თ. ჭანტურიას „წიგნიერებაში“ ვკითხულობთ, თანამედროვე გაგებით, წიგნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ისეთ უნარებთან, როგორცაა ზეპირი კომუნიკაცია, წაკითხულის განხილვა და დისკუსია, კრიტიკული აზროვნება, წარმოსახვა და სხვ.

G-PRIED-ის სახელმძღვანელოში ნათქვამია: „წიგნიერი მოსწავლეები გამოირჩევიან ემპათიის, პოზიტიური სოციალური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის უნარებით“.

კითხვა არის საფუძველი წიგნიერებისა, რომელიც თანამედროვე სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მიმართულება ემსახურება ნაირგვარი წერილობითი ინფორმაციის წაკითხვისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას... ეს მიმართულება ემსახურება იმას, რომ მოსწავლე დაეუფლოს და გამოიყენოს კითხვის ძირითადი სტრატეგიები, რათა შეძლოს ტექსტის შერჩევა, კრიტიკული კითხვა, განმარტება და საჭირო შესწორებათა შეტანა (მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“).

კითხვის უნარის დაუფლება მეტად რთული პროცესია და ხუთი ძირითადი კომპონენტის განვითარებას მოიცავს. ეს კომპონენტებია:

- > ფონოლოგიური უნარ-ჩვევები
- > ანბანის ცოდნა
- > ლექსიკური მარაგი
- > გაწაფული-გამართული კითხვა
- > ტექსტის გაგება-გააზრება

აქედან რომელიმე უნარის არარსებობა მეორის განვითარებას უშლის ხელს, რადგან ისინი ერთმანეთზე არიან დაფუძნებულნი. ასევე გასათვალისწინებელია მოსწავლეთა მოტივაცია და დამოკიდებულება კითხვისადმი. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ბავშვს ხუთივე საფეხურის გადალახვაში.

ჯერ კიდევ ადრეულ, სკოლამდელ ასაკში, ბავშვი ზეპირი კომუნიკაციის პროცესში აცნობიერებს წერისა და კითხვის დაწყებისათვის აუცილებელ ფონეტიკურ პრინციპებს, ბგერების შერწყმის შესაძლებლობებს, გამოთქმული ერთეულების ნაბეჭდ/ნაწერ ტექსტთან შესატყვისობას. თუ ბავშვის გარემოში ზეპირი კომუნიკაცია და ტექსტებთან შეხება მიზეზთა გამო შეზღუდულია, სასკოლო ასაკში სერიოზულ პრობლემას ვაწყდებით. ხოლო ინფორმაციის მოცულობისა და მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად, ეს პრობლემები კიდევ უფრო ღრმავდება. საბოლოოდ მივდივართ წაკითხულის ვერგაგებამდე, კითხვის მოტივაციის სრულ დაცემამდე, საკუთარი წარუმატებლობის განცდამდე, რაც სწავლას ყველა საგანში აფერხებს.

პიაჟე მიიჩნევს, რომ სწავლა შედეგიანია მაშინ, თუ იგი ბავშვის განვითარების დონეს შეესაბამება.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შეირჩეს წასაკითხი ლიტერატურა. დიმიტრი უზნაძემ გამოიკვლია მოსწავლეთა ინტერესების სფეროები ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბავშვებს მოსწონთ წიგნები, რომლებიც ასახავს მათი თანატოლის ცხოვრებას და კავშირშია მათ პირად

გამოცდილებასთან. ასევე მნიშვნელოვანია, წიგნში გამოყენებული ლექსიკა გასაგები იყოს ბავშვისათვის.

ბავშვებს ყველაზე მეტად მოსწონთ წიგნები, რომლებიც კარგად ილუსტრირებულია და შთამბეჭდავად გამოიყურება.

ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე-რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი. ამდენად, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნვას, სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს.

კითხვის უნარების განვითარებისას მნიშვნელოვანია ბავშვისთვის გასაგები იყოს წაკითხული სიტყვების მნიშვნელობა. რომელი მოსწავლეც ბევრს კითხულობს, მას გააჩნია მდიდარი ლექსიკური მარაგი, ხოლო ვინც არ კითხულობს, მისი ლექსიკური მარაგი მწირია, რადგან ვერ იმდიდრებს სიტყვათა მარაგს. ლექსიკის გამდიდრება მჭიდროდაა დაკავშირებული კითხვის უნარების განვითარებასთან, ამიტომ მასწავლებელი უნდა იყენებდეს სხვადასხვა მრავალფეროვან სტრატეგიას ლექსიკის გასამდიდრებლად მოსწავლეებში.

ლექსიკურ მარაგზე დამოკიდებული გააზრებული წერა და კითხვა. გაგება-გააზრების პრობლემა უმთავრესად ლექსიკური მარაგის სიმწირიდან მოდის. მდიდარი ლექსიკური მარაგის მქონე მოსწავლე უკეთესად იაზებს ახალ ცნებებს, იდეებს, აზრებს, ვიდრე ის მოსწავლე ვინც ღარიბი ლექსიკური მარაგის იმედადაა. „ტექსტის გააზრებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა და ლექსიკური მარაგის გაფართოება“ (პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია „წიგნიერება“)

კვლევების მიხედვით, თუ ტექსტის სიტყვათა 5%-ზე მეტი გაუგებარია, მკითხველს ფრუსტრაცია ეუფლება.

სიტყვის ცოდნა ნიშნავს, რომ ბავშვს შეუძლია თავისი სიტყვებით მისი განმარტება და გამოყენება. G-PRIED-ის სახელმძღვანელოდან ვიგებთ, რომ არსებობს სიტყვის დეფინიციური ცოდნა (როდესაც შეგვიძლია სიტყვის განმარტება) და კონტექსტუალური ცოდნა (როცა შეგვიძლია სიტყვის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება). ბავშვმა შეიძლება სწორად განმარტოს სიტყვა, მაგრამ ვერ შეძლოს მისი ადეკვატურად გამოყენება წინადადებაში და პირიქით, შესაძლოა ბავშვმა არ იცოდეს სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ შეძლოს მისი სწორად გაგება წინადადების კონტექსტში.

საბავშვო ტექსტებში ხშირად ვხვდებით რთულ სიტყვებს. „ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ორიენტირებული აქტივობები ეხმარება ბავშვს იმ სიტყვათა ათვისებაში, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იშვიათად ან საერთოდ არ ხვდება... სიტყვების სხვადასხვა სავარჯიშოებსა და მრავალფეროვან კონტექსტში გამოყენების აქტივობებს გაცილებით უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე თვით ამ სიტყვების ან მათი განმარტებების დაზეპირებას“ (G-PRIED- „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“).

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს კითხვაში გაწაფვის რთული საფეხურების დაძლევაში. „კითხვის უნარების განვითარების მიზნით, მასწავლებელი უნდა დააკვირდეს თითოეულ მოსწავლეს სწავლების ყველა

ეტაპზე და გამოავლინოს „ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ კომპონენტში სჭირდება მას დახმარება“(ი.სამსონია „წიგნიერება“)

ასევე, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ოჯახის როლი ბავშვის წიგნიერების საკითხში. იმ ოჯახებში, სადაც წიგნის კითხვის მკვიდრი ტრადიციაა, ბავშვებს უყვართ კითხვა და მაღალი მიღწევები აქვთ.

PIRIS-ის კვლევამ ცხადყო, რომ მოსწავლეების მიერ ტექსტის გაგება-გააზრება პრობლემაა საქართველოში. ამ კვლევის შედეგებით, ქართველ მოზარდთა წიგნიერების დონე საშუალოზე დაბალია.

ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება_ესაა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა.

„გაგება-გააზრება კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე კომპონენტია.“_ ვკითხულობთ G-PRIED-ის სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებულში, _

„გაგება-გააზრება ნებელობითი, აქტიური, ინტერაქტიული პროცესია. ის იწყება წაკითხვამდე, მიმდინარეობს კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგაც გრძელდება. არსებობს გაგება-გააზრების სხვადასხვა დონე: სიტყვასიტყვითი, ანალიტიკური და შეფასებითი. მკითხველი იაზრებს ტექსტში მოცემულ ექსპლიციტურ, ფაქტობრივ ინფორმაციას და ასევე იმპლიციტურ, ტექსტში დაფარული სახით არსებულ ინფორმაციას“

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება.

მოსწავლე უნდა გასცდეს მხოლოდ წაკითხულის დამახსოვრება-გაზეპირებას. რადგან ცოდნის დაგროვების, ინფორმაციის შენარჩუნების გარდა, მან უნდა შეძლოს ამ ცოდნის გამოყენება, სინთეზი, შეფასება.

წაკითხულის გააზრების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის შესაძლებელი, თუ მოსწავლეებს მიზანმიმართულად ვასწავლით:

.გაგების მონიტორინგს

.პარაგრაფში ძირითადი აზრის პოვნას

.კითხვის სამივე ეტაპზე შეკითხვების დასმას

.დასკვნების გამოტანას და ტექსტის ნაწილების დაკავშირებას

.ძირითადი ინფორმაციის თხრობას

.ტექსტის ძირითადი პუნქტების გამოყოფას.

(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი_კითხვისა და წერის სტრატეგიები 2015)

სასურველია, რომ მასწავლებელი გაკვეთილებზე იყენებდეს მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს. ერთფეროვანი აქტივობების გამოყენება ყოველდღიურად ხშირად მომაბეზრებელი ხდება ბავშვებისათვის.

მასწავლებლის მთავარი როლი შემდეგია: მისცეს შემსწავლელს საბაზისო ცოდნა და საჭირო ლექსიკა არსებითი დეკოდირებით, განუვითაროს შემსწავლელს გაგების უნარები, რათა მას კვლავაც ჰქონდეს ძლიერი სურვილი წაიკითხოს და ისწავლოს“ - (კ. ჩეპმენი, რ. კინგი „კითხვის სწავლების განსხვავებული სტრატეგიები“)

თავი III

კვლევის დიზაინი

3.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. მე-3⁵ კლასის მოსწავლეები.
2. მოსწავლეთა მშობლები
3. დაწყებითი კლასების მასწავლებლები

3.2. კვლევის მეთოდები

კვლევისათვის გამოვიყენე თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები:

1. მოსწავლეთა ანონიმური ანკეტირება.
2. მშობელთა ანკეტირება.
3. ინტერვიუ მასწავლებლებთან
4. ინტერვიუ მშობლებთან
5. ფოკუსირებული დაკვირვება მოსწავლეებზე.

3.3. კვლევის ვადები

ოქტომბერი- მაისი 2018-2019 სასწ.წელი

თავი IV

კვლევის შედეგები

4.1. მონაცემთა ანალიზი

საკვლევ საკითხთან დაკავშირებული პრობლემის სწორად გამოკვეთის მიზნით გამოვიყენე ფოკუსჯგუფი, ინტერვიუები და კითხვარები.

სასწავლო წლის დასაწყისში, კლასში შეტანილი უცხო ტექსტის წაკითხვისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი გამართულად ვერ კითხულობდა, არ იყო დაუფლებული გაწაფულ კითხვას, არ იცავდა სასვენიშნებთან დაკავშირებულ წესებს და არ აქცევდა ყურადღებას ინტონაციას. ვინიშნავდი, რა დროს ანდომებდნენ მოსწავლეები წაკითხვას და ტექსტის ირგვლივ დასმული შეკითხვების საშუალებით ვარკვევდი, რამდენად შეძლო მოსწავლემ წაკითხულის გააზრება. ვაკეთებდი ჩანიშვნებს. ასევე, ტექსტის წაკითხვის შემდეგ, ვუსვამდი მათ შეკითხვებს. მოსწავლეთა ნაწილი კარგად იაზრებდა ტექსტის შინაარსს, თუმცა სწორი პასუხების რაოდენობა მეტი იყო ფაქტობრივ შეკითხვებზე, შედარებით უჭირდათ სააზროვნო კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა. ასევე კლასის ნაწილს უჭირდა მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევა, ტექსტის მთავარი სათქმელის გამოყოფა და ა.შ. აღმოჩნდა, რომ კლასის თითქმის მესამედს პრობლემა აქვს ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებით.

ხელისშემშლელი მიზეზების დადგენის მიზნით ასევე, შევარჩიე G-pried-ის ტექსტი (დანართი 3), რომელსაც ერთვოდა დახურული შეკითხვები. შევიმუშავე შეფასების რუბრიკა და გამოვავლინე მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო და საშუალოზე დაბალი შედეგები.

ასევე შევიტანე G-pried-ის ტესტი ლექსიკაზე (დანართი 5) და აღმოვაჩინე, რომ მოსწავლეებს ძალიან უჭირთ ჩაწვდნენ ფრაზეოლოგიზმების შინაარსს, ასევე სირთულეს გადააწყდნენ სინონიმებისა და ანტონიმების ამოცნობაშიც.

იმისათვის, რომ უკეთ შემესწავლა პრობლემა და ნათელი წარმოდგენა შემქმნოდა, რამდენად უკავშირდება აღნიშნული პრობლემა ჩემს მოსწავლეებს, გადავწყვიტე ჩამეტარებინა მოსწავლეთა ანკეტირება. ანკეტირება არის ინფორმაციის მიღების მეთოდი, რომელიც გვეხმარება პრობლემის აღმოჩენასა და მისი გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიებაში. ანკეტირება იყო ანონიმური, მასში გამოვიყენე როგორც ღია, ისე დახურული შეკითხვები. ვფიქრობ, ანონიმური გამოკითხვისას მოსწავლეები უფრო გულწრფელნი იყვნენ.

საკვლევი პრობლემის გამოსაკვეთად მოსწავლეთათვის შედგენილმა კითხვარმა (დანართი 1.), ანალიზისას შემდეგი შედეგები აჩვენა:

1. 24 მოსწავლიდან 20-მა დააფიქსირა, რომ უყვარს კითხვა.
 2. კლასგარეშე ლიტერატურას კითხულობს 67%, არ კითხულობს- 33%
3. ტექსტების შერჩევაში არავინ ეხმარება 50%-ს, ხოლო კლასის ნახევარმა დაასახელა ოჯახის წევრები.
4. სახლში საკუთარი წიგნებისათვის კუთხე აქვს 17 მოსწავლეს.
5. უფროსებთან ერთად კითხულობს 33%, არ კითხულობს 29%, ხოლო 38%-მა დააფიქსირა, რომ იშვიათად კითხულობს უფროსებთან ერთად.
6. წაკითხულის შესახებ მშობლებთან საუბრობს 82%, ხანდახან-12%, არ საუბრობს-6%
7. წაკითხული ტექსტის შინაარსს თვლის რომ სწორად იგებს 18, ხოლო 6 მოსწავლე თვლის, რომ ვერ იგებს შინაარსს.
8. ანკეტირებისას აღმოჩნდა, რომ მხატვრული ტექსტების კითხვა მოსწონს 16-ს, ხოლო საინფორმაციო ტექსტების, ენციკლოპედიების კითხვა უყვარს 8 მოსწავლეს.
- ჩემ მიერ მშობლებისათვის შედგენილი კითხვარის შევსებაში 24 მშობელმა მიიღო მონაწილეობა.
1. მშობელთა კითხვარის ანალიზმა დაგვანახა, რომ მშობლები ძირითადად იცნობენ ლიტერატურას, რომელსაც კითხულობენ მათი შვილები

2.ასევე,15 მშობელი თვითონ ურჩევს წასაკითხ ლიტერატურას შვილს.

3. 15 მშობელი თვლის,რომ მისი შვილის კითხვის სიხშირე საშუალო მაჩვენებელზეა

4. შვილებთან ერთად კითხულობს 37%; იშვიათად ახერხებს-21%,ხოლო 42% არ კითხულობს შვილებთან ერთად.

5.წაკითხულის შესახებ შვილს ესაუბრება 42%, იშვიათად საუბრობს 46%, არასოდეს საუბრობს შვილთან წაკითხული ლიტერატურის შესახებ მშობლების 12%

6. შეკითხვაზე,რამდენად სწორად იგებს მისი შვილი წაკითხული ტექსტის შინაარსს, მშობლთა პასუხებმა ასეთი შედეგი გვაჩვენა: 46 % დარწმუნებულია,რომ მისი შვილი სწორად იაზრებს ტექსტს,8% თვლის,რომ მისი შვილი ვერ იგებს წაკითხულის შინაარსს,. ზოგჯერ ვერ იგებს-თვლის 46%

7.მშობელთა უმეტესობა ფიქრობს,რომ მისი შვილი იძულებით კითხულობს

8. მშობლების აზრით კომპიუტერთან მეტ დროს ატარებს 44%; 32% ამბობს,რომ მისი შვილი მეგობრებთან ატარებს დროის უმეტეს ნაწილს.წიგნებთან-თვლის24%

მშობლებთან ინტერვიუმ მიჩვენა, რომ ისინი არ არიან საკმარისად ჩართულნი შვილების სწავლის პროცესში. ასევე, მშობლებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ ისინი ნაკლებად ფიქრობენ, გაიგო თუ არა მისმა შვილმა წაკითხული ტექსტი, ნაკლებად უსმენენ მათ შთაბეჭდილებებს. ისინი ყურადღებას აქცევენ მხოლოდ ტექსტის დასწავლა-დაზეპირებას.

ასევე გაირკვა, რომ მშობლები თვითონაც ვერ აძლევენ მაგალითს შვილებს, არ კითხულობენ ხშირად. მშობელთა უმეტესობა არ კითხულობს შვილთან ერთად, უბრალოდ ცდილობენ დაამალონ შვილს რაიმეს წაკითხვა.

ასეთი პასიურობის მიზეზად მშობლებმა დაასახელეს დროის უქონლობა, რადგან ნაწილი დასაქმებულია, უმეტესად გასულია სახლიდან და ვერ აკონტროლებს შვილის სწავლა-განათლებას. ნაწილს კი არ აქვს სათანადო კომპეტენცია, რომ ჩაერიოს შვილის სწავლის პროცესში.

როდესაც გავესაუბრე კლასში „კარგი მკითხველების“ მშობლებს, აღმოვაჩინე, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი შვილების სწავლის პროცესში, თვითონ აძლევენ მაგალითს შვილებს, მუდმივად კითხულობენ და შვილებსაც უნერგავენ ლიტერატურის სიყვარულს, ესაუბრებიან წაკითხულის შესახებ. ცდილობენ შეავსონ „გამდიდრონ შვილების „წიგნის კუთხე“, ურჩევენ შვილებს საკითხავ მასალას და ა.შ.

საკვლევი პრობლემის უკეთ დანახვაში დიდად დამეხმარა კოლეგებთან საუბარი და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ სხვა კლასის მოსწავლეებთანაც იკვეთება ანალოგიური პრობლემები. თითქმის ყველა მასწავლებელი ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ ტექსტის გაგება -გააზრების პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: მწირი ლექსიკური მარაგი, გაწაფული კითხვის უნარის არქონა, ყურადღების დეფიციტი ბავშვებში, ტექსტის გააზრებისა და დასკვნების გამოტანის სტრატეგიების არცოდნა, არასწორად შერჩეული ტექსტი. ასევე, პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს მშობელთა პასიურობას, რადგან დაწყებით კლასებში მშობლის დაინტერესება და ჩართულობა გადამწყვეტ როლს ასრულებს შვილის წარმატებაში.

4.2. კვლევის მოსალოდნელი შედეგები:

კვლევის შედეგი იქნება ის, რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ უნარ-ჩვევები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული.

კვლევაში ჩართულ მოსწავლეებს განუვითარდებათ მხატვრულ ტექსტზე მუშაობის, მისი აღქმისა და გააზრების უნარები. გაუმჯობესდება მათი ლექსიკური მარაგი. კვლევის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მათთვის სასარგებლო და ბევრის მომტანი იქნება. მოსწავლეები თვითონვე შეაფასებენ საკუთარ თავს, განუვითარდებათ თვითშეფასების უნარი.

სსსმ მოსწავლეებიც მიიღებენ სარგებელს განხორციელებული ღონისძიებებიდან: განივითარებენ კითხვის, მსჯელობის, საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უნარებს. იმუშავებენ მათთვის შედგენილ მარტივ ტექსტებსა და დავალებებზე. იმუშავებენ მეწყვილესთან ერთად. ვფიქრობ, მათთვის სასარგებლო იქნება აღნიშნული ღონისძიებები.

ვფიქრობ, აღნიშნული კვლევა მომცემს საშუალებას, თვალნათლივ დავინახო მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები, რის შემდეგაც ვიზრუნებ პრევენციული ზომების მიღებაზე.

4.3. კვლევის მიგნებები

კვლევის მეთოდებმა ჩემთვის ნათელი გახადა, რომ :

.მოსწავლეები ნაკლებად ფლობენ ტექსტის გაგება-გააზრებისთვის საჭირო სტრატეგიებს.

.მოსწავლეებს არ აქვთ შეთვისებული ტექსტის დამუშავებისთვის მნიშვნელოვანი მეთოდები.

.ლექსიკური მარაგის სიმწირე, გაუწაფავი კითხვა ხელს უშლით ტექსტის გააზრებაში.

პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა:

.გამოვიყენოთ გაგება -გააზრებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები.

.ვიმუშაოთ ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე.

.მივაჩვიოთ ბავშვები სწორი ინტონაციით კითხვას.

.ყურადღება გავამახვილებინოთ სასვენ ნიშნებზე.

.შევარჩიოთ ბავშვებისთვის საინტერესო და ასაკისთვის შესაბამისი ტექსტები.

.დავებმართოთ საკითხავი მასალის შერჩევაში.

.გავააქტიუროთ მშობელთა ჩართულობა შვილების კითხვის პროცესში.

.დავგეგმოთ სწორი ინტერვენციები, მუდმივად განვაახლოთ და თანამიმდევრულად განვახორციელოთ ისინი.

4.4. შესაძლო ინტერვენციები

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრე კვლევის მიზნის მისაღწევი საჭიროებები, შევაფასე მოსწავლეთა ცოდნის დონე და შესაძლებლობები, დავგეგმე შესაძლო ინტერვენციები:

- .გააზრებული კითხვისათვის საჭირო სტრატეგიების განხორციელება და დანერგვა.
- .ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენება.
- .დისკუსიების მოწყობა
- .როლური კითხვის გამოყენება
- .მოსწავლეების გაწევრიანება სასკოლო ბიბლიოთეკაში

4. 5. განხორციელებული ცვლილებები

დიაგნოსტიკური ტესტების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე ინტერვენციების გეგმა. დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებული იყო ტექსტის გაგება- გააზრების უნარის განვითარებაზე. აქტივობების დაგეგმვისას გავითვალისწინე ჩემი მოსწავლეების ცოდნა და შესაძლებლობები. ვცდილობდი თითოეული მოსწავლის ჩართვას, ვაკვირდებოდი თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ინდივიდუალურ პროგრესს. ვაწარმოებდი ფოკუსირებულ დაკვირვებას ინდივიდუალურად, ასევე დიფერენცირებულ ჯგუფებზე.

ორიენტირებული ვიყავი შედეგზე.

აქტიურად დავიწყე კითხვის გასაუმჯობესებელი მეთოდების დანერგვა. ბევრს ვმუშაობდი გაწაფული კითხვის უნარის ჩამოყალიბებაზე. მართალია ტექსტის გაწაფულად წაკითხვა არ ნიშნავს მის გაგება-გააზრებას, მაგრამ ასეთ კითხვას მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან გაგება რთულდება, თუ მოსწავლე კითხვაში გაუწაფავია. ასეთ დროს მოსწავლე დიდ დროს კარგავს სიტყვის სწორად ამოკითხვასა და დეკოდირებაზე.

შედეგის მომცემი აღმოჩნდა წყვილებში კითხვა, როდესაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ, ბავშვები აფასებდნენ როგორც საკუთარ, ისე მეწყვილის წაკითხულს, ეს მათ აძლევდა სტიმულს უკეთესად წაკითხათ, ყურადღება მიექციათ გამოთქმისა და სასვენი ნიშნებისათვის.

მართული კითხვის აქტივობის გამოყენებამ საშუალება მომცა მეტად დაკვირვებოდი და გამეანალიზებინა თითოეული მოსწავლის საჭიროებები. ეს მეთოდი დიფერენცირებულ ჯგუფებში მუშაობის საშუალებასაც მაძლევდა.

ვიყენებდი „ფრაზებად კითხვის“ მეთოდსაც, რომელიც ეფექტური საშუალებაა გაწაფული კითხვის უნარის განსავითარებლად.

განსაკუთრებულად მოსწონდათ მოსწავლეებს „ მკითხველთა თეატრი“, როდესაც ვუნაწილებდი როლებს და კითხულობდნენ ტექსტს ხმამაღლა.

როლური თამაში იწვევდა მათში დიდ სიხარულს და ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ და ემზადებოდნენ ამისთვის. დიდ ინტერესს იწვევდა მათში ამ აქტივობის შემდგომი განხილვა-შეფასება .

კომიქსები ბავშვებისთვის ყოველთვის საინტერესო და სახალისოა.რამდენიმე შესწავლილი ნაწარმოებიდან შევქმენით კომიქსი.ეს ტექნოლოგია ავითარებს შემოქმედებით უნარს და ტექსტის გააზრებასაც უწყობს ხელს.

მოსწავლეები ყოველთვის ხალისით ეკიდებოდნენ, როდესაც ეპიზოდის სურათებს ქმნიდნენ ბუკებში „ვსწავლობთ თამაშის“ გამოყენებით.

„პატარა მკითხველები გაგება-გააზრების უნარს ადვილად,სწრაფად და თავისთავად ვერ ეუფლებიან.წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება“(G-PRIED „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“)

მუდმივად ვახორციელებდი წაკითხულის გააზრების ხელშემწყობი მეთოდების გამოყენებას.ინტერვენციების დაგეგმვისას ძალიან დამეხმარა ლიტერატურა ,რომელის წინასწარ დავამუშავე.განსაკუთრებით ხშირად ვიყენებდი G-PRIED-ის მეთოდებს

ტექსტის გააზრებისთვის ხშირად ვიყენებდი მეთოდს „ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე“.

ტექსტიდან დასკვნების სწორად გამოტანისთვის ხშირად ვიყენებდი მეთოდს „თხრობა სხვადასხვა ინტერპრეტაციით“.ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარებოდა ტექსტი გაეაზრებინა სხვადასხვა კუთხით ,უვითარებდათ ფანტაზიას.

მეთოდი „ცხელი სკამი“ იყო ძალიან საინტერესო,როდესაც სკამზე მჯდომ მოსწავლეს სხვა მოსწავლეები უსვამდნენ იმ კითხვებს,რომლებსაც დასვამდნენ მოთხრობის გმირთან. ეს მეთოდი ავითარებს ანალიზის,მეტყველების,მოსმენის,ფანტაზიის უნარებს.მოსწავლეებს უვითარდებდათ კითხვების ფორმულირებისა და დასმის უნარი.

სასარგებლო იყო „კლასტერული რუკის“ გამოყენება.

ასევე ხშირად ვიყენებდი“მოთხრობის რუკას“,რომელიც ერთ- ერთი ეფექტური მეთოდია გააზრებული კითხვის პროცესში. მას ვიყენებდი ტექსტის კითხვის სამივე ფაზაში.მოსწავლეები აკეთებდნენ მნიშვნელოვანი მოვლენების ჩანაწერებს,რაც ეხმარებოდათ ტექსტის უკეთ გააზრებაში.

ინფორმაციის შედარება- შეპირისპირების მიზნით ვიყენებდი „ვენის დიაგრამას“

ტექსტის გაგება- გააზრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პერსონაჟის რუკის შექმნა.მოსწავლეებს უვითარდებდათ ტექსტში ინფორმაციის მოძებნის,გააზრებისა და დასკვნების გამოტანის,არგუმენტირებისა და პირადი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი.

ტექსტის წაკითხვამდე(I ფაზაზე) რამდენჯერმე გამოვიყენე მეთოდი „მინტერესებს“.იგი ვარაუდების გამოთქმას ემსახურება.

თუ ტექსტთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი იყო ბევრი ილუსტრაცია,გონებრივი იერიშის დროს ვიყენებდი მოსწავლეებისთვის ძალიან სახალისო მეთოდს „გასეირნება ილუსტრაციებში“.იგი აღვივებს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობას,ინტერესს და ტექსტის წაკითხვის მოტივაციას ზრდის.

ტექსტის მიმართ ინტერესის გაზრდასა და მის გააზრებას ძალიან უწყობს ხელს ტექსტთან დაკავშირებით შექმნილი სლაიდ-შოუ. ყველაზე მეტად მოსწონდათ მოსწავლეებს სლაიდ- შოუს მეშვეობით დასმული შეკითხვები,რასაც მოჰყვებოდა მინიშნება,შემდეგ კი სწორი პასუხი.მათ შეეძლოთ თავიანთი პასუხების გადამოწმება.

ასევე,ტექსტის გააზრებისთვის აუცილებელია დისკუსიების მოწყობა.დისკუსია ეხმარება ბავშვებს პრობლემა გაიაზრონ სიღრმისეულად,ჩამოაყალიბონ თავისი პოზიცია,უვითარებს არგუმენტირების,რიტორიკულ,ლოგიკურ უნარებს.

წაკითხულის გააზრება დამოკიდებულია ლექსიკურ მარაგზე,ამიტომ გამოვიყენე ლექსიკური მარაგის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სტრატეგიები და მიდგომები:

- .სიტყვის/ცნების რუკა
- .სიტყვის ვერბალურ-ასოციაციური რუკა
- .სიტყვის პირამიდა
- .დაკარგული სიტყვები
- .სიტყვების გამომძიებელი
- .გონებრივი რუკა
- .დღის სიტყვა
- .წინადადება საკვანძო სიტყვის გამოყენებით

ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად ვიყენებდი ორივე სტრატეგიას:

ექსპლიციტურს-იმ სიტყვების შესწავლა,რომლებიც ტექსტის გასააზრებლად საჭირო და იმპლიციტურს-სიტყვების ათვისება უშუალოდ კითხვის პროცესში.

განსხვავებული და მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებამ გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა.კითხვა ბავშვებისთვის იქცა საინტერესო პროცესად.

4.6. რეკომენდაციები და ინტერვენციების შეფასება

კვლევის პროცესის დროს მიღებულმა გამოცდილებამ და შედეგებმა მიმიყვანა დასკვნამდე, რომ მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებისას პრობლემის გამოსასწორებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

.საჭიროა მოსწავლეები სისტემატურად ვამუშაოთ ტექსტის გაგება -გააზრების კუთხით.

.მოსწავლეებმა გამოიყენონ გაგება-გააზრებისთვის საჭირო მეთოდები და სტრატეგიები მხატვრულ ტექსტზე მუშაობისას.

.მოსწავლეებს უნდა შევურჩიოთ ისეთი ტექსტი წასაკითხად, რომელიც იქნება მათი შესაძლებლობების, ინტერესებისა და კითხვის დონის შესაფერისი.

.მშობლების ჩართულობა შვილის კარგ მკითხველად ჩამოყალიბებაში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს.

.მასწავლებელმა უნდა გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით, მუდმივად უნდა გაამრავალფეროვნოს სტრატეგიები და აქტივობები ამ კუთხით.

.მასწავლებელმა მუდმივად უნდა განახორციელოს მოსწავლეთა მონიტორინგი და შეაფასოს შედეგები.

.საჭიროა მუდმივი თანამშრომლობა კოლეგებთან და მათი გამოცდილების გაზიარება.

ჩემი მიზანი იყო შემეჯამებინა, რადენად სწორად დავგეგმე და განვახორციელე ცვლილებები. იყო თუ არა ეფექტური განხორციელებული აქტივობები.

ჩატარებულმა კვლევამ, განხორციელებულმა, მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებულმა აქტივობებმა შედეგი გამოიღო. ასევე შედეგის მომცემი აღმოჩნდა მიზნობრივად შერჩეული ლიტერატურა, მშობელთა აქტიურობა და კოლეგებთან თანამშრომლობა.

მოსწავლეებში გაიზარდა წიგნიერების დონე, შეიცვალა მათი კითხვისადმი დამოკიდებულება. ისინი უკვე ხშირად სტუმრობდნენ ბიბლიოთეკას, გამოჰქონდათ წიგნები, კითხულობდნენ და ერთმანეთს აცნობდნენ შინაარსს. აძლევდნენ რჩევებს ერთმანეთს რა შეერჩიათ წასაკითხად, ცვლიდნენ წასაკითხ წიგნებს.

მოსწავლეებმა შეითვისეს საჭირო, ეფექტური კითხვის სტრატეგიები. როდესაც სასწავლო წლის დასასრულს ჩავატარე პოსტტესტი, გამოვიყენე პროექტ G-pried-ის ტესტები (დანართი 4). მიღებული შედეგები შევადარე პრეტესტისას და დავრწმუნდი, რომ მოსწავლეებმა აშკარად უკეთესი შედეგები აჩვენეს.

როდესაც ერთმანეთს შევადარე პრეტესტისა და პოსტტესტის შედეგები, ასეთი სურათი მივიღე:

პრეტესტის შედეგები:

მაღალი-33%

საშუალოზე მაღალი-13 %

საშუალო-25%

საშუალოზე დაბალი-29%

პოსტტესტის შედეგები:

მაღალი:-45%

საშუალოზე მაღალი-23%

საშუალო_ 27%

საშუალოზე დაბალი-5%

ისევ ჩავატარე კითხვის მონიტორინგი. შედეგი აშკარად თვალსაჩინო იყო. მოსწავლეებზე კარგად აისახა კითხვის უნარების გასაუმჯობესებლად ჩატარებული ღონისძიებები. მიღებულმა უკუკავშირმა, წარმატებამ მოსწავლეებს შემატა მეტი თავდაჯერებულობა და მოტივაციის დონე კლასში გაიზარდა. პროგრესი აშკარა და მეტად მნიშვნელოვანი იყო.

გავესაუბრე მოსწავლეებს და მათ დააფიქსირეს აზრი, რომ ამჩნევენ როგორ გაუადვილდათ ტექსტის გაგება, ხოლო კითხვა სახალისო და სასიამოვნო პროცესი გახდა მათთვის. მოსწონთ ახალი აქტივობები, განსაკუთრებით როლური თამაშები, კომიქსები და წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა. თუმცა აღიარეს, რომ ზოგიერთი აქტივობა უკვე მობეზრდათ. კმაყოფილნი არიან ბიბლიოთეკაში გაწვევრიანებით. აღნიშნეს, რომ ძალიან უხარიათ, როდესაც სახლში მშობლები ეკითხებიან წაკითხული წიგნების შესახებ.

მშობლებთან გამეორებითი ინტერვიუს მიზანი იყო გამერკვია, თუ აღმოაჩინეს პროგრესი კითხვის დონის, ტექსტის გააზრებისა და მოტივაციის გაზრდის კითხით. მშობლებმა აღნიშნეს, რომ შვილების პროგრესი მათთვისაც თვალსაჩინო იყო. თვითონაც მეტად დაინტერესდნენ შვილების წიგნიერების ამალღების საკითხით და ჩართულნი არიან შვილების კითხვის პროცესში. ურჩევენ წასაკითხ მასალას, შეუძინეს მათთვის საინტერესო წიგნები, ესაუბრებიან წაკითხულის შესახებ. მათ გააცნობიერეს საკუთარი როლი შვილის წარმატების

მიღწევაში. მიხვდნენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კლასგარეშე ლიტერატურის კითხვას. საუბრისას მშობლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მომავალ წელსაც გაგრძელდეს ჩვენი თანამშრომლობა.

კოლეგებთან მუდმივად კონტაქტი და შთაბეჭდილებების გაზიარება კვლევის მიმდინარეობის პროცესში მმატებდა სტიმულს და იყო ბევრის მომცემი.

ვესაუბრე ჩემს კლასში შემსვლელ მასწავლებლებს და მათ აღნიშნეს, რომ მათთვისაც თვალსაჩინო იყო პროგრესი და მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლება მათ საგნებშიც შეინიშნებოდა.

ვაპირებ გავაგრძელო მუშაობა ამ კუთხით და დარწმუნებული ვარ, შევძლებ მათი კითხვის უნარ-ჩვევების გამდიდრებას.

დასკვნა

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან შეიძლება გამოვიტანო დასკვნა, აღნიშნულ პრობლემას იწვევს ის, რომ:

- . მოსწავლეებს არ აქვთ განვითარებული გაწაფული კითხვის უნარი
- . ვერ ფლობენ წაკითხული ტექსტის გასააზრებისათვის საჭირო სტრატეგიებს
- . მწირია მათი ლექსიკური მარაგი
- . აქვთ ყურადღების დეფიციტი
- . არ აქვთ მხარდაჭერა მშობლებისაგან
- . წასაკითხი მასალა ხშირად რთული და უინტერესოა მათთვის

ამ პრობლემების დასაძლევად დავგეგმე და განვახორციელე მიზანმიმართული აქტივობები. შედეგების შეჯამებისას დავრწმუნდი რომ განხორციელებული ღონისძიებებიდან უმეტესობა ეფექტური და შედეგებზე ორიენტირებული აღმოჩნდა.

საგრძობლად გაუმჯობესდა შედეგები სსსმ მოსწავლეებთან. ისინი ხალისით ერთვებოდნენ მათთვის დაგეგმილ ყველა აქტივობაში. მუშაობდნენ მეწყვილესთან, ჯგუფებში.

მიმაჩნია, რომ კვლევის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები სასარგებლო და პოზიტიურია ჩემი მოსწავლეებისათვის და ნამდვილად მიმიყვანა უკეთეს შედეგამდე.

ჩემი კვლევის შედეგების პრეზენტაცია გავაკეთე კათედრაზე. საკუთარი გამოცდილება, კვლევის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები და რეკომენდაციები გავუზიარე კოლეგებს. ვფიქრობ, მათთვის საინტერესო და სასარგებლო იყო

მიღებული ინფორმაცია და მათ ეს პრაქტიკაშიც გამოადგებათ. მათი მხრიდან მივიღე დადებითი უკუკავშირი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ეროვნული სასწავლო გეგმა-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- 2.მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი-კითხვისა და წერის სტრატეგიები, 2015 წ.
3. ქართული ენა და ლიტერატურა, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის-I-VI კლ-ეროვნული სასწავლო გეგმის ცენტრი, 2011 წ.
4. G_PRIED -სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული- _კითხვისა და წერის. სწავლება დაწყებით საფეხურზე , 2015 წ.
- 5.კითხვის ეფექტური მეთოდები-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
- 6.პ.პაპავა.თ.ჭანტურია „წიგნიერება“
- 7.მ.ინასარიძე, მ.ნაჭყებია_ „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები“ , 2006 წ.
8. ი.სამსონია „წიგნიერება“ ,2013 წ.

კარგი სკოლა- საგანმანათლებლო ვებ პორტალის რესურსები. მისამართი:
<http://www.kargiskola.ge/>

კვლევის რეფლექსია

კვლევა ჩატარდა სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის III⁵ კლასში. კვლევის განხორციელების ვადა იყო 2018-2019 სასწ.წელი(ოქტომბერი-მაისი). ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის სახელწოდებაა: „მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემა და მისი გადაჭრის გზების ძიება“

აღნიშნული საკითხით ჩემი დაინტერესება გამოიწვია იმ პრობლემებმა, რასაც ხშირად ვაწყდებოდი ქართულის გაკვეთილებზე მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით.

საკვლევი საკითხის იდენტიფიცირების შემდეგ გავეცანი შესაბამის ლიტერატურას, რამაც გამიღრმავა ცოდნა, საშუალება მომცა უკეთ ჩავწვდომოდი პრობლემის არსს და დამენახა პრობლემის გადაჭრის გზები.

შევეცადე დამედგინა პრობლემის აქტუალობა და მისი გამომწვევი მიზეზები. ამ მიზნით შევარჩიე მეთოდები საკვლევი პრობლემის მიზეზების დასადგენად (კითხვარები, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფები). განვსაზღვრე ფოკუს-ჯგუფი (მოსწავლეები, მშობლები, დაწყებითი კლასის მასწავლებლები). კითხვარების საშუალებით დავადგინე მოსწავლეთა საჭიროებები. ტესტირების საშუალებით დავადგინე მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები. გამოვიყენე G-PRIED-ის სადიაგნოსტიკო ტესტები.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დავგეგმე განსახორციელებელი ღონისძიებები გაგება-გააზრების პრობლემის აღმოსაფხვრელად. მონაცემთა ანალიზმა მიჩვენა, რომ პრობლემას ქმნიდა გაწაფული კითხვის უნარების არქონა, გაგება-გააზრებისთვის საჭირო სრატეგიებისა და მეთოდების არცოდნა, მწირი ლექსიკა, ტექსტის კითხვა გააზრების გარეშე, ყურადღების დეფიციტი, მშობლების ნაკლები ჩართულობა.

დავგეგმე მრავალფეროვანი, პრობლემაზე ორიენტირებული ინტერვენციები. აქცენტი გავაკეთე გაწაფული კითხვის უნარების, გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული სტრატეგიებისა და შესაფერისი აქტივობების შერჩევაზე. ინდივიდუალურად შევისწავლე მოსწავლეთა შესაძლებლობები და საჭიროებები. ვცდილობდი ბავშვებისთვის შემეთავაზებინა მათზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები.

შევიმუშავე სტრატეგია სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ. ვცდილობდი მათთვის შემუშავებული აქტივობები ყოფილიყო მათი ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შესაბამისი.

შედეგების შეფასებამ დამარწმუნა, რომ განხორციელებულმა ინტერვენციებმა შედეგი გამოიღო. რაც მაფიქრებინებს, რომ ჩემ მიერ არჩეული სტრატეგია, განხორციელებული ცვლილებები და გამოყენებული მეთოდები/აქტივობები სწორად იყო შერჩეული.

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი, სასარგებლო და ბევრის მომცემია მასწავლებლისათვის. კვლევამ

საშუალება მომცა ჩავღრმავებოდი საკითხს, პრობლემას. კვლევის დროს მართლაც სხვაგვარად შევხედე ამ პრობლემას და განსხვავებულად დავინახე იგი.

დაწყებითი კლასების კათედრის წევრებს პრეზენტაციის სახით წარუდგინე ჩემი კვლევა. გავაცანი საკვლევი საკითხი, გამოკითხვისა და ტესტირების შედეგები, დაგეგმილი ინტერვენციები, გამოყენებული მეთოდები, აქტივობები, კვლევის აღმოჩენები და შედეგები. კოლეგებმა ინტერესით მომისმინეს, გაიზიარეს ჩემი გამოცდილება, ჰქონდათ შეკითხვები. მათგან მივიღე დადებითი უკუკავშირი.

ვფიქრობ ტექსტის-გაგება გააზრებისთვის შეიძლებოდა უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდების/აქტივობების დაგეგმვა-გამოყენება. კვლევის პროცესში მიღებული გამოცდილება დამეხმარება შემდგომში უკეთ ვიმუშაო. წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება მუდმივი პროცესია, მუდმივად საჭიროებს ცვლილებებს, ამიტომ შემდგომშიც გავაგრძელებ ამ მიმართულებით მუშაობას.

დანართი 1.

კითხვარი მოსწავლეებისათვის

1. გიყვარს თუ არა წიგნების კითხვა?

ა) კი

ბ) საშუალოდ

გ) არა

2. ხშირად კითხულობ კლასგარეშე ლიტერატურას?

ა) კი

ბ) არა

3. როგორი ტექსტები მოგწონს?

4. გაქვს თუ არა სახლში შენი წიგნებისთვის კუთხე?

ა) კი

ბ) არა

5) რა სახის წიგნები უფრო მეტი გაქვს?

(ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები, ენციკლოპედიები და ა.შ.)

6) ვინ გეხმარება წასაკითხი წიგნის შერჩევაში?

7. კითხულობ თუ არა უფროსებთან ერთად წიგნებს?

ა) კი

ბ) არა

გ) იშვიათად

8. უყვები თუ არა მშობლებს წაკითხული წიგნის შინაარსს?

ა) კი

ბ) არა

გ) ხანდახან

9. როგორ ფიქრობ, ყოველთვის სწორად იგებ წაკითხული წიგნის შინაარსს?

ა) კი

ბ) არა

10. რომელია შენი საყვარელი წიგნი?

დანართი 2.

კითხვარი მშობლებისათვის

1. იცნობთ თუ არა ლიტერატურას რომელსაც კითხულობს თქვენი შვილი?

ა)კი

ბ)ნაწილობრივ

გ)არა

2.თუ აძლევთ რჩევებს თქვენს შვილს,რომელი წიგნი წაიკითხოს?

ა)კი

ბ) არა

გ) ზოგჯერ

3)თქვენი აზრით, როგორია თქვენი შვილის კითხვის სიხშირე?

ა)მაღალი

ბ)საშუალო

გ)დაბალი

4.კითხულობთ თუ არა მასთან ერთად?

ა)კი

ბ)არა

გ)იშვიათად

5.საუბრობთ თუ არა მათთან წაკითხულის ირგვლივ?

ა)ხშირად

ბ)იშვიათად

გ)არასოდეს

6.როგორ ფიქრობთ,რამდენად სწორად იგებს თქვენი შვილი წაკითხული წიგნის შინაარსს?

ა)ყოველთვის სწორად იგებს

ბ)ვერ იგებს შინაარსს

გ)ზოგჯერ ვერ იგებს

7.თქვენი აზრით, კითხვის პროცესი მისთვის არის

ა)სახალისო

ბ)იმულებითი

8.სად უფრო მეტ დროს ატარებს თქვენი შვილი

ა)წიგნებთან

ბ)კომპიუტერთან

გ)მეგობრებთან

მადლობას გიხდით გამოკითხვაში მონაწილეობისათვის!

დანართი 3.

დანართი 4.

დანართი 5.